თემა II: <u>Windows-ის ფანჯრები:</u> სტანდარტული და დიალოგური ფანჯრები. სტანდარტული ფანჯრების ელემენტები. ნავიგაცია კომპიუტერში. ფანჯრებს შორის გადართვა.

ოპერაციული სისტემის დასახელება "Windows" ითარგმნება როგორც "ფანჯრები". ფანჯარა - Windows სისტემის ძირითადი ელემენტი - წარმოადგენს მართკუთხა არეს, რომლის ზომები ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს, ზოგში კი არა (ეს დამოკიდებულია ფანჯრის ტიპზე). არსებობს Windows-ის ფანჯრების სხვადასხვა ტიპები: Windows-ის პროგრამის ფანჯარა; დოკუმენტის ფანჯარა (Windows-റം პროგრამის მეორადი ფანჯარა); დიალოგური ფანჯარა (შეტყობინებებისა და შეკითხვების ფანჯრები); გახსნილი საქაღალდის ფანჯარა. Windows-ში ყველა მოქმედება სრულდება ამა თუ იმ ფანჯარაში. შეიძლება ითქვას, რომ ფანჯარა - გახსნილი პიქტოგრამაა, ხოლო პიქტოგრამა - დახურული ფანჯარა. ფანჯრებს აქვთ საერთო ელემენტები. გავეცნოთ ფანჯრის ძირითად ელემენტებს My Computer ფანჯრის მაგალითზე, რომელიც წარმოაადგენს სტანდარტულ ფანჯარას.

შევასრულოთ მაუსის მარცხენა ღილაკის ორჯერადი დაწკაპუნება (ანუ მაუსის მარცხენა ღილაკს ზედიზედ ორჯერ სწრაფად დავაჭიროთ და ავუშვათ) My Computer-ის პიქტოგრამაზე. შედეგად My Computer-ის პიქტოგრამა გააქტიურდება, და ეკრანზე გამოჩნდება My Computer-ის ფანჯრის გამოსახულება.



ფანჯრის სათაურის ზოლი შეიცავს იმ პროგრამის დასახელებას, რომელსაც შეესაბამება გახსნილი ფანჯარა. სათაურის ზოლის მარჯვენა კუთხეში მოთავსებულია 3 ღილაკი: <mark>-- დაკი</mark>

ი.ხუციშვილი

პირველი - მინიმიზირების ღილაკია 💻. მასზე მაუსის დაწკაპუნებით შეიძლება ფანჯრის ჩაკეცვა (დახვევა), ანუ ჩამოგდება ამოცანების პანელზე: ქვანჯრის დახვევის შემთხვევაში ხდება მისი დროებით

შენახვა. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ჩაკეცილი ფანჯარა სამუშაო მაგიდაზე, საკმარისია დავაწკაპუნოთ მაუსით ამოცანების პანელის My Computer-ის ღილაკზე.

მეორე - მაქსიმიზაციის ღილაკია. მასზე მაუსის დაჭერით ხდება ფანჯრის გაშლა მთელ ეკრანზე. ამ შემთხვევაში მაქსიმიზაციის ღილაკი შეიცვლება თუ კიდევ ერთხელ დავაწკაპუნებთ მეორე ღილაკზე, ფანჯრის ზომა და ადგილმდებარეობა შეიცვლება თავდაპირველით და ღილაკიც მიიღებს თავდაპირველ სახეს .

მესამე - ფანჯრის დახურვის ღილაკია 🔀. მასზე დაჭერით ფანჯარა იხურება და ქრება სამუშაო მაგიდიდან. ამასთან პროცესი, რომელსაც ემსახურებოდა ფანჯარა, მთავრდება.

ფანჯარა შეგვიძლია გავშალოთ მთელ ეკრანზე აგრეთვე სათაურის ზოლში მაუსის ორჯერადი დაწკაპუნებით. რომ გავიმეოროთ ორჯერადი დაწკაპუნება სათაურის ზოლში, ფანჯარა მიიღებს თავდაპირველ სახეს (მას დაუბრუნდება თავდაპირველი ზომები და მდებარეობა).

ფანჯრის ზომების შეცვლა შეიძლება მაუსის დახმარებით.

ვერტიკალური ზომის შესაცვლელად ჩავატაროთ შემდეგი მოქმედებები: მივიყვანოთ მაუსის მაჩვენებელი ფანჯრის ქვედა (ზედა) ჩარჩოსთან. მაუსის ფორმა შეიცვლება და მიიღებს ორმხრივი ისრის სახეს 🗘 . დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და თითის აუღებლად გადავაადგილოთ მაუსის მაჩვენებელი ჯერ ქვევით (ფანჯრის ვერტიკალური ზომა გაიზრდება), შემდეგ კი ზევით (ვერტიკალური ზომა შემცირდება). როდესაც ფანჯრის ზომა დაგვაკმაყოფილებს, ავუშვათ თითი ღილაკს.

ჰორიზონტალური ზომის შეცვლა შეიძლება შემდეგი მოქმედებების ჩატარებით: მივიყვანოთ მაუსის მაჩვენებელი ფანჯრის მარჯვენა (მარცხენა) ჩარჩოსთან. მაუსი მიიღებს ორმხრივი ისრის სახეს ↔ . ჩავავლოთ მაუსი მარჯვენა (მარცხენა) კიდეს და გადავაადგილოთ კურსორი ჯერ მარჯვნივ (ფანჯრის ჰორიზონტალური ზომა გაიზრდება), შემდეგ კი მარცხნივ (ჰორიზონტალური ზომა შემცირდება). როდესაც ფანჯრის ზომა მოგვეწონება, ავუშვათ თითი ღილაკს.

იმისათვის, რომ ერთდროულად შევცვალოთ ფანჯრის როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ზომა, მოვიქცეთ ასე: მივიყვანოთ მაუსის მაჩვენებელი ფანჯრის რომელიმე კუთხეში, ვთქვათ, ქვედა მარჯვენა კუთხეში. მაუსი მიიღებს 🔪 სახეს. შემდეგ დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და თითის აუშვებლად გადავაადგილოთ კურსორი 45-გრადუსიანი კუთხით (ქვევით და მარჯვნივ ერთდროულად). სასურველი ზომის მიღებისას, ავუშვათ თითი მაუსის ღილაკს.

ფანჯრის გადაადგილება სამუშაო მაგიდაზე (ზომების შეუცვლელად) ხდება სათაურზე მაუსის მაჩვენებლის მოდებით და გადათრევით. გადათრევის ქვეშ იგულისხმება შემდეგი მოქმედება: მივიყვანოთ მაუსის კურსორი საჭირო ადგილას (ჩვენს შემთხვევაში ფანჯრის სათაურთან), დავაჭიროთ მის მარცხენა ღილაკს და თითის აუღებლად გადავიტანოთ კურსორი ახალ ადგილას, შემდეგ კი ავუშვათ თითი ღილაკს.

მენიუს ზოლი შეიცავს შესაბამისი პროგრამის (ჩვენს შემთხვევაში My Computer-ის) ყველა ბრძანებას, ანუ ყველა იმ მოქმედებას, რომელთა შესრულება შეუძლია პროგრამას. My Computer-ის მენიუს ზოლი გამოიყურება ასე:

```
File Edit View Favorites Tools Help 🛛 🥂
```

მენიუს თითოეულ პუნქტში გაერთიანებულია ამ პუნქტის შესაბამისი ბრძანებები. მაგალითად, მენიუს პუნქტში View გაერთიანებულია ყველა ის ბრძანება, რომელიც გვეხმარება ფანჯრის ჩვენი გემოვნებით გაწყობაში.

იმისათვის, რომ შევიდეთ მენიუში (გავხსნათ მენიუ), მაგალითად, View, უნდა დავაწკაპუნოთ მასზე:



მივაქციოთ ყურადღება საინფორმაციო სტრიქონს. მასში გამოჩნდა შეტყობინება იმის შესახებ, თუ რა მოქმედებების ჩატარებაა შესაძლებელი გახსნილი მენიუს პუნქტის ბრძანებების საშუალებით. თითოეული მენიუს პუნქტის ბრძანებებს ჩვენ გავეცნობით მოგვიანებით.

მენიუს შეიძლება ჰქონდეს ქვემენიუ. როგორც ჩვენს შემთხვევაში ჩანს, მენიუს პუნქტი Toolbars შეიცავს ქვემენიუს (ამის მაჩვენებელია სიმბოლო ▶ მენიუს პუნქტში). ქვემენიუში გადასვლა ხდება მაუსის მომრაობით მენიუს პუნქტის გასწვრივ.



თუ მენიუს პუნქტი მთავრდება სამი წერტილით . . . , მაშინ მენიუს ბრძანების შესრულების შემდეგ გამოიძახება ე.წ. დიალოგური ფანჯარა. ვთქვათ, გვსურს ინსტრუმენტების პანელში დავამატოთ განსხვავებული ღილაკი. ამისათვის გადავდივართ View მენიუს Toolbars ქვემენიუს პუნქტში Customize... და ვაწკაპუნებთ მაუსის მარცხენა ღილაკზე. შედეგად გამოდის დიალოგური ფანჯარა Customize Toolbar, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავამატოთ სხვადასხვა ღილაკები ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე.

🛃 My Computer		
File Edit View Favorites Tools Help	25	
🕝 Back 👻 🕥 - 🎓 🔎 Search 🚱	Folders 🕼 🎲 🗙 🎽	
Address 😼 My Computer	💌 🄁 Go	
Customize Toolbar		? 🛛
Available toolbar buttons:	Current toolbar buttons:	Close
Separator	🔀 Delete	Reset
Stop E	- J Undo	
2 Refresh	Separator	
Home <- Remov	Ve Views	Movello
< Map Drive	Separator	(Hove op
	< >	Move Down
Text options: Selective text on right	v	
Icon options: Large icons	~	

ახლა თუ დიალოგური ფანჯრის ველში Available toolbar buttons ავირჩევთ სტრიქონს Home, დავაჭერთ ღილაკს Add-> და შემდეგ ღილაკს Close, ჩვენი ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე გაჩნდება შესაბამისი ღილაკი:

File Edit View Favorites Tools Help	1
3 Tatal · O · 🍠 🔎 Search 🔛 Polders 👔	à D 🗙 🍤 🖽 💰
ddrese 😨 My Computer	💌 🛃 Go
Shared Documents	
Shared Documents	

თუ მენიუს პუნქტი აღნიშნულია ნაცრისფერით (მქრალია), შესაბამისი ბრმანება მიუწვდომელია. "ჩიტი" - (Check mark) აღნიშნავს, რომ შესაბამისი რეჟიმი გააქტიურებულია. მაგალითად, View მენიუს Status bar პუნქტთან ვხედავთ - ს. ეს ნიშნავს, რომ ფანჯარაში ჩართულია საინფორმაციო სტრიქონი.



თუ მენიუს პუნქტში მითითებულია ღილაკების კომბინაცია, ეს ნიშნავს, რომ ამ პუნქტის შესრულება შეგვიძლია მოცემული სწრაფი მოქმედების ("ცხელი") კლავიშების საშუალებით კლავიატურიდან. მაგალითად, Edit მენიუს Select All პუნქტში მოცემულია კლავიშების კომბინაცია Ctrl+A.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ამ პუნქტის არჩევით (მაუსის დაწკაპუნებით) შეგვიძლია ერთდროულად მოვნიშნოთ ფანჯარის ყველა ობიექტი. იგივე მოქმედება შეგვიძლია ჩავატაროთ, თუ კლავიატურაზე ერთდროულად დავაჭერთ ღილაკებს Ctrl-ს და A-ს.



თუ მენიუს პუნქტის წინ მითითებულია ნიშანი •, ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე ალტერნატიული რეჟიმიდან ჩართულია ერთი (მონიშნული).

მენიუში მსგავსი ფუნქციების (მსგავსი მოქმედებების) მქონე პუნქტები დაჯგუფებულია, ჯგუფები კი გამოიყოფა ჰორიზონტალური ხაზებით (Separator).

მენიუს პუნქტის გააქტიურება შეიძლება აგრეთვე შემდეგნაირად: კლავიატურაზე დავაჭიროთ ღილაკს F10 (ასე გადავალთ მენიუს ზოლში), კლავიატურის მარჯვენა → და მარცხენა ← ისრების დახმარებით მივიდეთ მენიუს საჭირო პუნქტთან და დავაჭიროთ ქვედა ↓ ისარს.

კიდევ ერთი, მენიუში სწრაფი მისვლის ხერხი: კლავიშების კომბინაცია Alt+ შესაბამისი ღილაკი, ანუ იმ ასოს შესაბამისი ღილაკი, რომელიც ხაზგასმულია მენიუს დასახელებაში.

ფანჯრის განხილულ მენიუს ეწოდება ჩამოშლადი მენიუ.

საინფორმაციო სტრიქონი (Address Bar) გვიჩვენებს, თუ რამდენი ობიექტია მოთავსებული ფანჯარაში და რამდენ ჯამურ მეხსიერებას იკავებენ ეს ობიექტები.

26 objects	2,32 MB	😼 My Computer	11.
55L			10000000

სამისამართო სტრიქონი ფანჯრის მნიშვნელოვალი ელემენტია, რადგან მისი საშუალებით შეიძლება სწრაფად გადავიდეთ კომპიუტერის ერთი ადგილიდან მეორეში. მივიყვანოთ მაუსის კურსორი სამისამართო სრტიქონის ელემენტთან 🗹 და დავაწკაპუნოთ მასზე მაუსის მარცხენა ღილაკი. გაიხსნება სია, რომელშიც ჩანს ჩვენს კომპიუტერში ინფორმაციის განთავსება: ზედა დონეზე (იერარქიის თავში) არის საქაღალდე Desktop. შემდეგ დონეზე (სიაში ამ დონის პიქტოგრამები შეწეულია Desktop-ის პიქტოგრამასთან შედარებით) ვხედავთ საქაღალდეებს My Computer, My Documents, My Network Plases, Recycle Bin და სხვა. შემდეგ დონეზე (My Computer-ის პიქტოგრამასთან შედარებით შეწეული პიქტოგრამები) განთავსებულია დისკების მაჩვენებლები C :, D :, E :, Control Panel და სხვა.

🗢 C:\	. 🗆 🛛
File Edit View Favorites Tools Help	
🔇 Back 👻 🕥 · 🏂 🔎 Search 🎼 Folders 🕼 🎲 🗙 🍤	
Address 🗢 C:\	🔁 Go
Desktop My Documents My Computer Local Disk (C:) DVD/CD-RW Drive (D:) DVD Drive (E:) DVD Drive (E:) Control Panel	
Shared Documents Shared Docu	

მივიყვანოთ მაუსის კურსორი პიქტოგრამასთან Local disk (C:) და ორჯერადად დავაწკაპუნოთ მასზე მაუსის მარცხენა ღილაკი. გამოვა ფანჯარა სათაურით C:\, რომელშიც ჩანს C-დისკზე ჩაწერილი ყველა საქაღალდე და ფაილი:

🧇 C:\	
File Edit View Favorites	Tools Help 🥂
🌀 Back 🔹 🕥 - 🏂	Search 🎼 Folders
Address 🥯 C:\	💌 🏓 Go
DOCUM~1	Documents and Settings
Downloads	Filmebi
Sxvadasxva	Install
66 objects	15,5 MB 🛛 🕄 My Computer

ავირჩიოთ საქაღალდე Filmebi და შევასრულოთ მასზე ორმაგი დაწკაპუნება. პასუხად გაიხსნება ახალი ფანჯარა სათაურით C:\Filmebi, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე ფაილი და საქაღალდე:

🗀 C:\Filmet	Di					
File Edit V	/iew Favorites	Tools He	lp			-
🌀 Back 🔹	🕥 - 🦻	Searce	h 🖟	Folders		**
Address 🛅 Fi	ilmebi				~	So Go
Ø		(02044			^
	games c	JZ919.IIII55	02944	ngnos Dr	ATHSCAILE	
E Document						~
6 objects		2,06 G	в	🗌 😼 My C	omputer	3

თუ გავხსნით სამისამართო სტრიქონის შესაბამის სიას, დავინახავთ, რომ დირექტორია Filmebi ლოკალური C-დისკის ქვედა დონეზეა მოთავსებული.



ავირჩიოთ ფანჯარაში რომელიმე ფაილი, მაგალითად, 2000 16 824 kB, და შევასრულოთ მასზე ორმაგი დავაწკაპუნება. გამოიძახება ფილმების გამშვები პროგრამა და გაიშვება არჩეული ფილმი.

უკან დასაბრუნებლად, ანუ ზედა დონეზე გადასასვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ ინსტრუმენტთა პანელის ღილაკი Ď (Up). თუ ამ ღილაკზე დავაწკაპუნებთ ერთხელ, აღმოვჩნდებით C:\ ფანჯარაში, ხოლო მეორე დაწკაპუნების შემდეგ კი My Computer-ის ფანჯარაში. იგივე შედეგს მივაღწევთ, თუ Up ღილაკის

ნაცვლად გამოვიყენებთ ინსტრუმენტთა პანელის ღილაკს Geack (Back) ან

კლავიატურის კლავიშს Back Space-ს რომელიც თანამედროვე კლავიატურაზე Enter-ის ზევით არის მოთავსებული.

ამრიგად, სამისამართო სტრიქონის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ ნავიგაცია კომპიუტერში.

სურათებზე ნაჩვენები ყველა ფანჯარის მარჯვენა ჩარჩოსთან განლაგებულია დათვალიერების ბილიკები (ამბობენ, აგრეთვე, ლიფტები). როგორც წესი, დათვალიერების ბილიკი (Scrollbar) ჩნდება მაშინ, როდესაც ფანჯრის შიგთავსის მოცულობა (საქაღალდეებისა და ფაილების რიცხვი) დიდია და არ ეტევა ფანჯრის მოცემულ ზომებში. ამ ელემენტის დასახელება გვიჩვენებს, რომ იგი გამოიყენება ფანჯრის შიგთავსის დასათვალიერებლად. დათვალიერების პროცესში Band გვეხმარება ისრიანი ღილაკები: ვერტიკალური ბილიკისთვის - 🔻 და 🔺, ხოლო ჰორიზონტალური ბილიკისთვის - ∢და≯. ამ ღილაკებზე დაწკაპუნებით ფანჯრის შიგთავსი პატარა ბიჯით გადაადგილდება შესაბამისი მიმართულებით. ამ დროს ბილიკზე იწყებს მოძრაობას რბია (slider). იგი არა მხოლოდ მოძრაობს, არამედ იცვლის ზომას: რაც უფრო დიდია რბიის ზომა, ფანჯრის შიგთავსის მით უფრო პატარა ნაწილია დარჩენილი ფანჯრის ფარგლებს გარეთ. ფანჯრის შიგთავსის გადაადგილება შეიძლება შევასრულოთ უფრო სწრაფად, თუ მაუსს დავაწკაპუნებთ ზედ დათვალიერების ბილიკზე (რბიასა და ისრიან ღილაკს შორის). ფანჯრის შიგთავსის დათვალიერების კიდევ ერთი გზაა - მაუსის კურსორი დავაყენოთ რბიაზე, ჩავავლოთ მაუსი და გადავიტანოთ რბია.

02944.ghost

Windows-ში შესამლებელია რამდენიმე ამოცანის (პროგრამის, ფაილის თუ საქაღალდის) ერთდროულად გაშვება. ამას ეწოდება მრავალამოცანიანი რეჟიმი. ფანჯრები შეიმლება განვათავსოთ სამუშაო მაგიდაზე კასკადურად (Cascade Windows), ზემოდან ქვევით (The Windows Horizontally) ან მარცხნიდან მარჯვნივ (The Windows Vertically). შესაბამისი რეჟიმების დაყენება ხორციელდება ამოცანების პანელის კონტექსტური მენიუდან, რომლის გამოტანა შეიძლება ამოცანების პანელზე მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით.



ამოცანების გაშვებისას ამოცანების პანელზე ჩნდება ამ ამოცანების, უფრო სწორად, მათი ფანჯრების გასახსნელი ღილაკები. სწორედ აქედან მომდინარეობს დასახელება "ამოცანების პანელი" (Taskbar). ცხადია, რომ დროის ყოველ მომენტში ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ მხოლოდ ერთი ამოცანის ფანჯარაში. იმ ფანჯრის ღილაკი, რომელიც ამ დროისათვის მისაწვდომია, ანუ აქტიურია, Taskbar-ზე მონიშნულია მუქი ფერით.

🛃 Start 🔰 🚯 INTUIT.ru: Kypc: Mi... 👜 Windows_2.doc - Mi... 👜 ຊາດອີລຊາຫຼອດ ຊະລອດ... 🔣 Microsoft Excel - Ne... 🚮 Adobe Reader - [c_t...

ფანჯრებს შორის გადართვის, ანუ სასურველი ფანჯრის გააქტიურების რამდენიმე ხერხი არსებობს:

- Taskbar-ზე მარცხენა დაწკაპუნებით სასურველი ფანჯრის ღილაკზე
- კლავიატურის ღილაკების Alt+Tab კომბინაციით: ვაჭერთ ღილაკს Alt და, თითის აუღებლად, Tab ღილაკზე დაჭერით რიგრიგობით გადავდივართ ყველა გახსნილ ფანჯარაზე. საჭირო ფანჯრის არჩევის შემდეგ კი ერთდროულად უნდა ავუშვათ ორივე ღილაკს ხელი.
- მარცხენა დაწკაპუნებით სასურველი ფანჯრის ნებისმიერ ადგილას. ფანჯრების კასკადური განლაგების შემთხვევაში კი - საჭირო ფანჯრის სათაურის ზოლზე მარცხენა დაწკაპუნებით.

ამის შემდეგ აქტიური ფანჯარა გამოდის წინა პლანზე. მისი სათაურის ზოლი ხდება უფრო მუქი სხვა ფანჯრების სათაურების ზოლებთან შედარებით.

ერთ-ერთ განხილულ მაგალითში ჩვენ უკვე შეგვხვდა ე.წ. დიალოგური ფანჯარა. ეს Windows-ის ისეთი ფანჯარაა, რომელშიც ხდება პროგრამისთვის საჭირო პარამეტრების მიწოდება. დიალოგურ ფანჯარას, როგორც წესი, გააჩნია OK და Cancel ღილაკები. პარამეტრების შეცვლისა თუ დაყენების შემდეგ უნდა დავაჭიროთ ერთერთს ამ ღილაკებიდან. ამასთან OK ნიშნავს დადასტურებას, ხოლო Cancel იგნორირებას (ანუ იმას, რომ ჩვენ გადავიფიქრეთ). OK ღილაკზე დაჭერისას პარამეტრები შედის მალაში, და დიალოგური ფანჯარა იხურება. თუ დიალოგურ ფანჯარას აქვს კიდევ ერთი ღილაკი - Apply (გამოიყენე) - და ჩვენ დავაჭერთ ამ ღილაკს, შეტანილი ინფორმაცია შევა მალაში, მაგრამ ფანჯარა არ დაიხურება და შეგვემლება მასში მუშაობის გაგრმელება. მაგალითად, განვიხილოთ დიალოგური ფანჯარა Folder Options, რომელიც სტანდარტული ფანჯრის Tools მენიუს პუნქტზე Folder Options... დაჭერით გამოიმახება. სურათზე ჩანს, რომ ჩვენ მოვნიშნეთ პარამეტრი Display the full path in the address bar. თუ ამის შემდეგ დავაჭერთ ღილაკს Apply, ხოლო შემდეგ OK-ს, ფანჯარა დაიხურება, ჩვენი დაყენებული თვისება კი ამოქმედდება: სამისამართო სტრიქონში გამოჩნდება არა მხოლოდ გახსნილი საქაღალდის დასახელება, არამედ ამ საქაღალდემდე სრული გზის ჩანაწერი.

and the second se	File Type:	s Offline File	es		
- Folder vie	ws				
	You can ap	ply the view (such as D	etails or Tiles)) that
	you are usir	ng for this fold	er to all fo	olders.	
1000	Apply to a	All Folders	Re	set All Folders	
					_
Advanced s	ettings:				
🛅 Files a	nd Folders				~
🗹 Au	itomatically sea	arch for netwo	ork folders	and printers	
Di Di	splay file size ir	nformation in f	older tips		
🖌 🖌 Di	splay simple to	lder view in Ei	xplorer's h	olders list	
			211		
Di:	splay the conte	ents of system	folders		
Di Di	splay the conte splay the full pa	ents of system ath in the add	folders ress bar		_
Di Di Di Di	splay the conte splay the full pa splay the full pa splay the full pa	ents of system ath in the add ath in the title umbriails	folders ress bar bar		
Di Di Di Di Di Di	splay the conte splay the full pa splay the full pa o not cache the dden files and	ents of system ath in the add ath in the title umbnails folders	ress bar bar		_
Di Di Di Di Di Di Di	splay the conte splay the full pa splay the full pa not cache the dden files and Do not show	ents of system ath in the add ath in the title umbnails folders 1 hidden files a	folders ress bar bar and folder	8	
Di Di Di Di Di Di Di Di Di	splay the conte splay the full pa splay the full pa o not cache the dden files and Do not show	ents of system ath in the add ath in the title umbnails folders hidden files and fold	i folders ress bar bar and folder lers	8	
Di Di Di Do Do Hi Hi	splay the conte splay the full p splay the full p o not cache the dden files and Do not show Show hidder de extensions	ents of system ath in the add ath in the title umbnails folders hidden files a hifiles and fold for known file	i folders ress bar bar and folder lers types	8	~
Di Di Di Di Hi Hi	splay the conte splay the full p splay the full p o not cache the dden files and Do not show Show hidder de extensions l	ents of system ath in the add ath in the title umbnails folders hidden files a files and fold for known file	i folders ress bar bar and folder lers types	8	~
Di Di Di Di Di Di Hi	splay the conte splay the full p, splay the full p, o not cache thi dden files and Do not show Show hidder de extensions l	ents of system ath in the add ath in the title umbnails folders hidden files an files and fold for known file	folders ress bar bar and folder lers types	s Restore Def	aults

შევნიშნოთ, რომ OK ღილაკზე დაჭერის ანალოგიურია კლავიატურის Enter კლავიშზე დაჭერა. Enter-ის დანიშნულებაა, კომპიუტერს დაუდასტუროს მომხმარებლის განაზრახი. ანუ Enter კლავიშის მოქმედება, ისევე როგორც OK ღილაკისა, კომპიუტერისთვის ნიშნავს "მინდა"-ს.

Windows-ს გააჩნია აგრეთვე გამაფრთხილებელი და საინფორმაციო ფანჯრები.

About Windows 🛛 🔀	
Copyright @ 1985-2001 Microsoft Corporation	Confirm Shortcut Delete
Microsoft @ Windows Version 5.1 (Build 2600.xpsp_sp2_gdr.050301-1519 : Service Pack 2) Copyright @ 1981-2001 Microsoft Corporation	Deleting the shortcut to BitComet - a BitTorrent Client only removes the icon. It does not uninstall the program.
This product is licensed under the terms of the <u>End-User</u> <u>License Agreement</u> to:	If you want to uninstall the program, use <u>Add or Remove Programs</u> in Control Panel.
NickIa NickIa inc. Physical memory available to Windows: 514 480 KB	Delete Shortcut Cancel
ОК	გამაფრთხილებელი ფანჯარა

საინფორმაციო ფანჯარა

სავარჯიშოები:

გახსენით სამუშაო მაგიდზე რომელიმე, მაგალითად, My Documents-ის შესაბამისი ფანჯარა და შეასრულეთ შემდეგი მოქმედებები: მონიშნეთ ფანჯრის ყველა ობიექტი - მოხსენით მონიშვნა; მონიშნეთ ერთ სტრიქონში, ერთ სვეტში მოთავსებული ობიექტები - მოხსენით მონიშვნა; მონიშნეთ ფანჯრის ობიექტები ამორჩევით- მოხსენით მონიშვნა.

გაშალეთ ფანჯარა მთელ ეკრანზე და შემდეგ დაუბრუნეთ მას თავდაპირველი ზომა და მდებარეობა ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხით. შეცვალეთ ფანჯრის ვერტიკალური, ჰორიზონტალური და ერთდროულად ორივე ზომა.

გაეცანით ზომების შეცვლის კიდევ ერთ ხერხს: ფანჯრის სათაურის ზოლში მისი სათაურის მარცხნივ ვხედავთ პატარა ნახატს, რომელიც სხვადასხვა ტიპის ფანჯრისთვის სხვადასხვაა. დავაწკაპუნოთ მასზე მაუსის მარცხენა ღილაკი. გაიხსნება ე.წ. სისტემური მენიუ, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევასრულოთ

მასში ჩამოთვლილი ბრძანებები მაუსის გარეშე, კლავიატურის ⊡ ისრების გამოყენებით:

შეეცადეთ სისტემური მენიუს ბრძანებებით შეასრულოთ ფანჯრის გადაადგილება (Move), ზომის შეცვლა (Size), დახვევა (Minimize), მთელ ეკრანზე გაშლა (Maximize), დახურვა (Close).

მიაქციეთ ყურადღება Alt+F4 კლავიშების კომბინაციას.

<u>`````````````````````````````````````</u>	
Restore	
Move	s Tools Help 🥂
Size _ Minimize	> Search >>
🗖 Maximize	🔽 🄁 Go
X Close Alt+F4	
EA Sports FlashDownl	. irakli 🖌
26 objects 2,32 MB	😼 My Computer 💦

აირჩიეთ ფანჯარაში რომელიმე საქაღალდე, ორჯერადად დააწკაპუნეთ მასზე მაუსის მარცხენა ღილაკი, ახლად გახსნილ ფანჯარაში გადადით მის დირექტორიაში და ა.შ. მანამ, სანამ საქაღალდეების ჩალაგება არ დამთავრდება (ანუ ბოლოს გახსნილ ფანჯარაში არ აღმოჩნდება მხოლოდ ფაილები). შემდეგ შეასრულეთ უკან დაბრუნება ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხით.

მონიშნეთ ფანჯარაში ერთ-ერთი საქაღალდე და დააჭირეთ კლავიატურის ღილაკს Enter, ახლად გახსნილ ფანჯარაში მონიშნეთ კიდევ ერთი საქაღალდე და ისევ დააჭირეთ Enter-ს. შემდეგ ინსტრუმენტების პანელზე დააჭირეთ ღილაკს Back.
 Back ღილაკის მარჯვნივ გააქტიურდება ისრიანი ღილაკი
 მიიყვანეთ მასთან მაუსის კურსორი და ცოტა ხანს გააჩერეთ. გამოჩნდება კონტექსტური მინიშნება:
 Forward to *წინა დირექტორიის დასახელება*. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღილაკი Forward იძლევა უკან დაბრუნების საშუალებას.

გახსენით იმ საქაღალდის ფანჯარა, რომელშიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტი ინფორმაციაა მოთავსებული (მაგალითად, C-დისკის). შეამცირეთ ფანჯრის ორივე განზომილება ისე, რომ გაჩნდეს დათვალიერების ბილიკი (ერთი მაინც). ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხით დაათვალიერეთ ფანჯრის შიგთავსი. დავამატოთ კიდევ ერთი დათვალიერების ხერხი: კლავიატურის Page Up ღილაკზე დაჭერით მოხდება ფანჯრის გადაფურცვლა (ფანჯრის შიგთავსის მისი ზომის ტოლი ბიჯით გადაადგილება) ზევით, ხოლო Page Down ღილაკზე დაჭერით - ქვევით.

🎟 გახსენით რამდენიმე ფანჯარა ერთდროულად. დაადგინეთ, რას ნიშნავს აქტიური ფანჯარა; რამდენი ფანჯარა შეიძლება იყოს აქტიური დროის ერთ

მომენტში; როგორ გამოირჩევა აქტიური ფანჯრის შესაბამისი ღილაკი ამოცანების პანელზე. მოახდინეთ ფანჯრებს შორის გადართვა ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხით.

დაასრულეთ კომპიუტერთან მუშაობა შემდეგნაირად: აიღეთ კლავიატურის კლავიშების კომბინაცია Alt+F4 (რაც ნიშნავს ფანჯრის დახურვას) - ამ მოქმედებით თქვენ დახურავთ სამუშაო მაგიდის ფანჯარას (გაიხსენეთ, რომ Desktop-ი წარმოადგენს იერარქიის თავში მდგომ საქაღალდეს). შემდეგ შეასრულეთ კომპიუტერთან მუშაობის დამთავრებისათვის საჭირო ყველა მოქმედება.

მიმდინარე ტესტირება:

- 1. რა არის Windows-ის ფანჯარა?
- 2. საიდან მომდინარეობს Windows ოპერაციული სისტემის დასახელება?
- 3. როგორი ტიპის ფანჯრები იცით?
- 4. რა კავშირია პიქტოგრამებსა და ფანჯრებს შორის?
- 5. ჩამოთვალეთ სტანდარტული ფანჯრის ძირითადი ელემენტები.
- 6. რას გვიჩვენებს ფანჯრის სათაური?
- 7. სად არის განთავსებული და რისთვის გამოიყენება ღილაკი 📃 ?
- 8. რა მოხდება, თუ დავაწკაპუნებთ მაუსის მარცხენა ღილაკით 亘-ზე ?
- 9. რას გვიჩვენებს ღილაკი 💷 ?
- 10. რისთვის გამოიყენება ღილაკი 🖾 ?
- 11. რა განსხვავებაა 📃 და 🗵 ღილაკების გამოყენებას შორის?
- 12. როგორ შევცვალოთ ფანჯრის ვერტიკალური ზომა?
- 13. როგორ შევცვალოთ ფანჯრის ჰორიზონტალური ზომა?
- 14. როგორ შევცვალოთ ფანჯრის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზომა ერთდროულად?
- 15. როგორ გავშალოთ ფანჯარა მთელ ეკრანზე სათაურის ზოლის ღილაკების გამოუყენებლად?
- 16. როგორ დაუბრუნოთ მთელ ეკრანზე გაშლილ ფანჯარას თავდაპირველი ზომა და ადგილმდებარეობა სათაურის ზოლის ღილაკების გამოყენების გარეშე?
- 17. როგორ გადავაადგილოთ ფანჯარა სამუშაო მაგიდაზე?
- 18. სად არის ჩვეულებრივ განლაგებული ამოცანების პანელი?
- 19. როგორ გადავიტანოთ ამოცანების პანელი Desktop-ის სხვა ადგილას?
- 20. რა არის განლაგებული Taskbar-ზე?
- 21. რა ჩნდება ამოცანების პანელზე ფანჯრის გახსნისას?
- 22. რამდენიმე ფანჯარა შეიძლება იყოს გახსნილი სამუშაო მაგიდაზე ერთდროულად?
- 23. რამდენიმე ფანჯარა შეიძლება იყოს აქტიური სამუშაო მაგიდაზე?
- 24. რითი განსხვავდება აქტიური ფანჯრის შესაბამისი ღილაკი ამოცანების პანელზე?
- 25. როგორი ურთიერთგანლაგებით შეიძლება განვათავსოთ რამდენიმე ფანჯარა სამუშაო მაგიდაზე?
- 26. რა არის კონტექსტური მენიუ?
- 27. სამუშაო მაგიდის ობიექტის კონტექსტური მენიუს გამოძახების რამდენი ხერხი იცით?

- 28. ჩამოთვალეთ სამუშაო მაგიდის ობიექტის კონტექსტური მენიუს გამოძახების ხერხები.
- 29. როგორ გამოვიძახოთ ამოცანების პანელის კონტექსტური მენიუ?
- 30. რას ემსახურება ამოცანების პანელის კონტექსტური მენიუს ბრძანება The Windows Vertically?
- 31. რას ემსახურება ამოცანების პანელის კონტექსტური მენიუს ბრმანება **The** Windows Horizontally?
- 32. რას ემსახურება ამოცანების პანელის კონტექსტური მენიუს ბრმანება Cascade Windows ?
- 33. სამუშაო მაგიდაზე გახსნილ რამდენიმე ფანჯარას შორის გადართვის რამდენი ხერხი იცით?
- 34. ჩამოთვალეთ სამუშაო მაგიდაზე გახსნილ ფანჯრებს შორის გადართვის ხერხები.
- 35. რას ემსახურება კლავიატურის ღილაკების Alt+Tab კომბინაცია?
- 36. სამუშაო მაგიდაზე გახსნილია რამდენიმე ფანჯარა. რას გვიჩვენებს ერთერთის გამუქებული სათაურის ზოლი?
- 37. რომელი კლავიშების კომბინაცია ცვლის 🖾 ღილაკის მოქმედებას?
- 38. საიდან და რისთვის გამოიძახება სისტემური მენიუ?
- 39. როგორ გავხსნათ ფანჯრის მენიუ მაუსის დახმარებით? კლავიატურის დახმარებით?
- 40. როგორ დავხუროთ ფანჯრის მენიუ მაუსის დახმარებით? კლავიატურის დახმარებით?
- 41. რა შემთხვევაში ვერ ხერხდება მენიუს ბრძანების შესრულება?
- 42. რას გვიჩვენებს მენიუს ბრძანების ბოლოს სამი წერტილი? სიმბოლო 🕨?
- 43. რას გვიჩვენებს მენიუს ბრძანების წინ სიმბოლო ? სიმბოლო ?
- 44. რისთვის გამოიყენება სამისამართო სტრიქონი?
- 45. რას ეწოდება დიალოგური ფანჯარა, რა დანიშნულება აქვს მას?
- 46. კლავიატურის რომელი კლავიშით შეიძლება დავხუროთ დიალოგური ფანჯარა, ჩამოშლადი მენიუ, კონტექსტური მენიუ?
- 47. როგორ ხდება დიალოგიდან გამოსვლა, თუ თქვენ შეიტანეთ ცვლილებები დიალოგურ ფანჯარაში?
- 48. რას გვიჩვენებს საინფორმაციო სტრიქონი?
- 49. როდის ჩნდება ფანჯარაში დათვალიერების ბილიკი? როგორ შეიძლება მისი საშუალებით ფანჯრის შიგთავსის დათვალიერება?
- 50. ფანჯრის შიგთავსის დათვალიერების რამდენი ხერხი იცით?
- 51. მიმოიხილეთ ფანჯრის შიგთავსის დათვალიერების ხერხები.